სს საქართველოს ბანკი	16/06/2023	16/06/2025	8.5%	ვადის ბოლოს	ყოველთვიურად	EUR	8,371,777
სს საქართველოს ბანკი	20/12/2023	20/05/2025	8.0%	ვადის ბოლოს	ყოველთვიურად	EUR	8,947,420
სს საქართველოს ბანკი	20/12/2023	17/12/2029	8.5%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	EUR	8,950,844
სულ მიღებული სესხები							59,317,979
გადასახდელი პროცენტი							4,198,089
მიღებული სესხის ძირი							55,119,890
სულ მიღებული სესხები							59,317,979

სასესხო ვალდებულებების დიდი ნაწილი წარმოქმნილია დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხებით იხ. შენიშვნა 24-ში. „სმარტ რითეილსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, კომპანიას უფლება აქვს სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში გადაიხადოს სესხის ძირი და პროცენტი ხელსაყრელ დროს. დარიცხულმა პროცენტმა პერიოდის განმავლობაში შეადგინა 6,238,437 ლარი (2023: 5,961,991 ლარი). პერიოდის განმავლობაში გადახდილმა პროცენტმა შეადგინა 2,154,609 ლარი (2023: 2,546,527 ლარი).

მიღებული სესხები უზრუნველყოფილია სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას ქონებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები.

	31-დეკ-24	31-დეკ-23 (გადაანგარიშებული)
1 იანვარი	59,317,979	44,841,241
სესხის პროცენტის გადახდა	(2,154,609)	(1,983,764)
სესხის ძირის გადახდა	(510,075)	(44,307,898)
სესხის დამატება	-	52,976,592
სამართლიანი ღირებულების ცვლილება	(327,308)	93,310
რეკლასიფიკაცია	-	850,183
პროცენტის ღარიცხვა	6,238,437	5,961,991
საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული შედეგი	(374,445)	886,324
31 დეკემბერი	62,189,979	59,317,979

16. საიჯარო ვალდებულებები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
მოკლევადიანი	323,332	352,795
გრძელვადიანი	881,498	919,622
სულ საიჯარო ვალდებულებები	1,204,830	1,272,417

2024 წელს კომპანიამ გააფორმა ახალი საიჯარო ხელშეკრულება მაღაზიისთვის და აღიარა საიჯარო ვალდებულება და აქტივი გამოყენების უფლებით 175,203 ლარის ოდენობით (2023: 160,736 ლარი).

ქვემოთ მოცემულია მოკლევადიანი და გრძელვადიანო საიჯარო ვალდებულებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31-დეკ-24	31-დეკ-23
<i>მინიმალური საიჯარო გადახდა</i>		
ერთ წლამდე	450,910	353,707
1 დან 5 წლამდე	1,055,190	1,166,531
5 დან 10 წლამდე	121,847	304,192
შემცირება: საიჯარო ხარჯი	(423,117)	(552,013)
სულ საიჯარო ვალდებულება	1,204,830	1,272,417

საიჯარო ხელშეკრულებებში, სადაც არ იყო განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთად გამოყენებულ იქნა მიღებული სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი.

	31-დეკ-24	31-დეკ-23
1 იანვარი	1,272,417	1,292,167
იჯარის ვალდებულების აღიარება	175,203	157,742
იჯარის ვალდებულების გაუქმება	-	-
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ იჯარაზე	150,324	165,122
მოგება სავალუტო ოპერაციებზე	-	-
მოდიფიკაციის ეფექტი	-	-
ფინანსური იჯარის საპროცენტო ხარჯის გადახდა	(150,324)	(165,122)
ფინანსური იჯარის ძირის გადახდა	(242,790)	(177,492)
31 დეკემბერი	1,204,830	1,272,417

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
სავაჭრო ვალდებულებები	7,678,612	7,733,637
საგადასახადო ვალდებულებები	1,550	4,795
მიღებული ავანსები	247	145
სხვა ვალდებულებები	720,720	522,615
სულ საიჯარო ვალდებულებები	8,401,129	8,261,192

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს მომწოდებლებთან. ვადიანობის ანალიზი წარმოდგენილია 27-ე შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მის სამართლიან ღირებულებას. სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და მისი საშუალო ვადიანობაა 3 თვე.

18. შემოსავალი

შემოსავალი	2024	2023
შემოსავალი გაყიდვებიდან	56,748,854	51,584,877
შემოსავალი მარკეტინგული მომსახურებიდან	921,269	571,983
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	777,507	537,749
საიჯარო შემოსავლები	367,622	340,993
შემოსავალი კომუნალურებიდან	39,250	48,856
სულ შემოსავალი	58,854,502	53,084,458

ყველა შემოსავალი აღიარებულია დროის კორექტულ მომენტში. მარკეტინგული შემოსავალი წარმოადგენს სარეკლამო აქციების და პროდუქციის განთავსებიდან მიღებულ შემოსავალს. მარკეტინგული შემოსავლის გამომწვევა ხდება სუპერმარკეტში არსებული მომხმარებლისთვის თვალსაჩინო/სპეციალური ადგილების გაქირავებით. საიჯარო შემოსავლები წარმოადგენს სავაჭრო და სასაწყობო ფართების ქვეიჯარით მიღებულ შემოსავლებს. საიჯარო შემოსავლების მკვეთრი შემცირება დაკავშირებულია „სმარტ რუსთაველის“ და წარმოების საწყობების დახურვით სადაც კომპანიას ქვე-იჯარით ქონდა გაცემული მნიშვნელოვანი ფართები.

სხვა მომსახურების შემოსავლები ძირითადად შედგება პარკინგის და გუდაურის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის შემოსავლებისაგან.

შემოსავალი გაყიდვებიდან	2024	2023
საცალო გაყიდვები	45,178,921	41,356,894
წარმოება	11,569,933	10,227,983
სულ შემოსავალი	56,748,854	51,584,877

გაყიდვებიდან შემოსავალი პროდუქტების ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

გაყიდვები პროდუქტის ჯგუფის მიხედვით	2024	2023
საკვები	20,091,618	18,275,213
უალკოჰოლოური სასმელები	16,507,909	14,914,811
თამბაქო	13,801,357	12,142,765
ალკოჰოლოური სასმელები	3,515,194	3,437,464
სახლის ნივთები	651,286	598,332
ჰიგიენის პროდუქტები	470,611	437,173
სხვა პროდუქცია	1,710,879	1,779,119
სულ შემოსავალი	56,748,854	51,584,877

19. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2024	2023
საცალო გაყიდვები	30,756,586	28,865,878
წარმოება	3,845,656	3,726,171
სხვა	268,515	457,763
სულ	34,870,757	33,049,812

რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება პროდუქტების ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

	2024	2023
თამბაქო	12,571,339	11,005,950
საკვები	10,997,862	10,589,803
უალკოჰოლო სასმელები	7,561,174	7,119,206
ალკოჰოლო სასმელები	2,064,459	2,117,690
სახლის ნივთები	372,717	352,636
ჰიგიენის პროდუქტები	265,529	266,436
სხვა პროდუქცია	1,037,677	1,598,091
სულ	34,870,757	33,049,812

20. კომერციული ხარჯები

კომერციული ხარჯები	2024	2023
ხელფასის ხარჯი	9,830,394	7,802,770
იჯარის ხარჯი	2,328,976	2,116,528
ცვეთა და ამორტიზაცია	1,861,363	1,520,051
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	1,726,237	1,717,671
ბანკის საკომისიო	564,729	486,102
მარკეტინგული ხარჯი	564,697	362,895
სამეურნეო ხარჯი	420,376	431,256
მომსახურების ხარჯი	356,030	353,455
რემონტის და შეკეთების ხარჯი	235,712	209,729
საწვავის ხარჯი	118,013	100,847
ტრანსპორტირების ხარჯი	112,260	94,869
საკანცელარიო ხარჯი	32,567	38,400
მივლინების ხარჯი	12,090	8,010
დაცვის ხარჯი	8,458	6,355
სხვა ხარჯები	171,275	151,146
სულ	18,343,177	15,400,084

21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
ხელფასის ხარჯი	2,394,913	1,847,486
დაზღვევის ხარჯი	246,177	216,204
მომსახურების ხარჯი	137,072	112,269
მარკეტინგული ხარჯი	120,244	97,320
მივლინების ხარჯი	71,248	115,238
ცვეთა და ამორტიზაცია	70,451	70,959
იჯარის ხარჯი	53,153	60,485
საგადასახადო ხარჯი	51,938	50,547
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	28,254	26,418
საწვავის ხარჯი	22,749	17,765
ბანკის საკომისიო	21,341	20,938
რემონტის და შეკეთების ხარჯი	13,040	16,168
ტრანსპორტირების ხარჯი	9,014	6,486
საკანცელარიო ხარჯი	5,410	4,314
სხვა ხარჯები	228,775	177,693
სულ	3,473,779	2,840,290

ტრანსპორტირება შეიცავს დარიცხულ ხარჯებს საწყობიდან მატარებამდე.

იჯარის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები, რომელთა გადახდა არ აკმაყოფილებს არსებითად ფიქსირებული გადახდის კრიტერიუმებს, შედის ადმინისტრაციულ ხარჯებში.

22. უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)

	2024	2023
მიღებული სესხები	2,947,700	569,412
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	280	6,202
ფული და ფულის ექვივალენტები	172,440	284,610
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,005	25,398
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება	3,123,425	885,622
მიღებული სესხები	(2,545,990)	(1,483,001)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(486)	(23,828)
ფული და ფულის ექვივალენტები	(102,163)	(153,799)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(4,262)	(7,032)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	(2,652,901)	(1,667,660)
სულ	470,524	(782,038)

23. წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	2024	2023
ხანდაზმული ვალდებულებების ჩამოწერა	63,434	110,397
დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯი	(57,699)	(252,254)
დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯის ჩამოწერა	292,309	-
გაცემული სესხის რეზერვის აღდგენა	-	118,642
შემოსავალი საქონლის ინვენტარიზაციიდან	-	273,084
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(17,067)	88,015
არასაოპერაციო შემოსავალი	280,977	337,884
დანაკლისი საქონლის ინვენტარიზაციიდან	(52,162)	-
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული მოგება/(ზარალი)	(99,520)	(88,540)
სხვა ხარჯები	(14,443)	(38,569)
არასაოპერაციო ხარჯები	(166,125)	(127,109)
სულ	114,852	210,775

24. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას:

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის

დაკავშირებულ მხარედ თუ:

- I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;
- II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- III) არის ანგარიშვალდებულ საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ). საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის საკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- I) ეს საწარმო ან ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები(რაც იმას ნიშნავს რომ, სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავოს საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთს არიან დაკავშირებული);
- II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
- IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;
- V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებულთა საწარმოს ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარისდაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული პირი თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა.
- VI) ამ საწარმოს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება.
- VII) (1)პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.
- VIII) ეს საწარმო ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მართველობით მომსახურებას.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია კომპანია, გლობალ ინვესტორს ლიმიტედ (მალტა) " რომელსაც აკონტროლებს თანაბარი წილების მფლობელი სამსონ და ლევან ფხაკაძეები (50%-50%).

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	2024	2023
შემოსავალი	553,621	419,720
საპროცენტო შემოსავალი	-	37,633
საპროცენტო ხარჯი	4,079,774	4,014,586
იჯარის ხარჯი	2,340,156	2,292,451
მარკეტინგის ხარჯი	122,647	122,337
საწვავის ხარჯი	140,657	118,611
მასალები	203,552	78,970
ძირითადი საშუალებების შეძენა	28,197	26,185
სხვა ხარჯები	77,068	24,258

ზემოთ მოცემული ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ იქნა სხვა არადაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების მსგავსი პირობებით.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-24	31-დეკ-23
სავაჭრო მოთხოვნები	158,233	229,950
მიღებული სესხები	35,738,653	32,086,719
სავაჭრო ვალდებულებები	1,242,964	1,335,332

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	556,684	596,167

25. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

ჯგუფი საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, ჯგუფი ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ ჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

საკრედიტო რისკი

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით, რომლის დროსაც გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოების ინფორმაცია, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. ხელმძღვანელობას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	31-დეკ-24	31-დეკ-23
ფული და ფულის ექვივალენტები	563,330	1,416,400
გაცემული სესხები	-	-
სავაჭრო მოთხოვნები	1,950,811	184,661
სულ ფინანსური აქტივები	2,514,141	1,601,061

მოსალოდნელი საკრედიტო რისკი

ჯგუფი იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია ჯგუფის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი

საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს:

დონე 1	დონე 2	დონე 3
(თავდაპირველი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივები)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარჯი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარჯი არსებობის განმავლობაში	მოსალოდნელი საკრედიტო ზარჯი არსებობის განმავლობაში

სავაჭრო მოთხოვნებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე: ნაკლები 30 დღეზე, 31-90 დღე, 91-180 დღე, 181-360 დღე და 360 დღეზე მეტი.

მოსალოდნელი საკრედიტო რისკის პროცენტულობა დაფუძნებულია საოპერაციო საქმიანობასა და წარსულ გამოცდილებაზე. მოსალოდნელი საკრედიტო რისკის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილებული დღეები	<30	31-90	91-180	181-360	>180
მოსალოდნელი საკრედიტო რისკის პროცენტულობა	2.00%	5.00%	25.00%	50.00%	100%

მოსალოდნელი საკრედიტო რისკის მაჩვენებლის ცვლილების მიზეზები განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების მე-8-ე შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ხელმძღვანელობა ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით რეგულარული მონიტორინგის საშუალებით.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელზე ნაკლები	1 - 5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	563,330	-	-	563,330
გაცემული სესხები	-	-	-	-
სავაჭრო მოთხოვნები	1,950,811	-	-	1,950,811
გაცემული ავანსები	-	-	-	-
საგადასახადო აქტივი	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	2,514,141	-	-	2,514,141
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8,401,129	-	-	8,401,129
მიღებული სესხები	20,697,414	44,595,619	-	65,293,033
საიჯარო ვალდებულებები	450,910	1,055,190	121,847	1,627,947
სულ ფინანსური ვალდებულებები	29,549,453	45,650,809	121,847	75,322,109
ლიკვიდურობის პოზიცია	(27,035,312)	(45,650,809)	(121,847)	(72,807,968)

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელზე ნაკლები	1 - 5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,416,400	-	-	1,416,400
გაცემული სესხები	-	-	-	-
სავაჭრო მოთხოვნები	184,661	-	-	184,661
გაცემული ავანსები	-	-	-	-
საგადასახადო აქტივი	7,287	-	-	7,287

სულ ფინანსური აქტივები	1,608,348	-	-	1,608,348
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7,411,009	-	-	7,411,009
მიღებული სესხები	3,243,964	61,728,157	-	64,972,121
საიჯარო ვალდებულებები	353,707	1,165,217	305,104	1,824,028
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,008,680	62,893,374	305,104	74,207,158
ლიკვიდურობის პოზიცია	(9,400,332)	(62,893,374)	(305,104)	(72,598,810)

მენეჯმენტი გეგმავს ჯგუფის ფინანსური და საოპერაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას:

- საჭიროების შემთხვევაში დამფუძნებლები მზად არიან მოახდინონ შენატანი დედა კომპანიის საწესდებო კაპიტალში.

- მენეჯმენტმა 2 წლის განმავლობაში მოამზადა საპროგნოზო ფულადი სახსრების მოძრაობა, რომლის მიხედვითაც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება;

- ჯგუფი უახლოეს წლებში გეგმავს ახალი მაღაზიების გახსნას: 2025 წელს 10 ახალი მაღაზიის გახსნა რაც ჯგუფის შემოსავალს გაზრდის.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს ფინანსური და საოპერაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას. შემარბილებელი ფაქტორების საფუძველზე მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

საპროცენტო რისკი

ჯგუფს საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გავლენა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე მათ სამართლიან ღირებულებაზე შეფასდა უმნიშვნელო.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის და საპროცენტო განაკვეთების ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელზე ნაკლები	1 - 5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	-	-	-	-
ფინანსური აქტივები	-	-	-	-
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	27,464,426	34,725,553	-	62,189,979
საიჯარო ვალდებულებები	323,332	768,408	113,090	1,204,830
ფინანსური ვალდებულებები	27,787,758	35,493,961	113,090	63,394,809
წმინდა პოზიცია	(27,787,758)	(35,493,961)	(113,090)	(63,394,809)

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელზე ნაკლები	1 - 5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	-	-	-	-
ფინანსური აქტივები	-	-	-	-
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	5,573,728	53,744,251	-	59,317,989
საიჯარო ვალდებულებები	210,891	789,521	272,005	1,272,417
ფინანსური ვალდებულებები	5,784,619	54,533,772	272,005	60,590,396
წმინდა პოზიცია	(5,784,619)	(54,533,772)	(272,005)	(60,590,396)

სს “სმარტ რითეილი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს, რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	დოლარი	ევრო	რუბლი	გირვანქა სტერლინგი	სულ
აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	26,422	2,022	1,406	-	29,850
სავაჭრო მოთხოვნები	28,887	-	-	-	28,887
სულ	55,309	2,022	1,406		58,737
ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	26,451,323	-	-	26,451,323
სავაჭრო ვალდებულებები	21,366	965,276	-	68	986,710
სულ	21,366	27,416,599		68	27,438,033
სავალუტო რისკის წმინდა ზემოქმედება	33,943	(27,414,577)	1,406	(68)	(27,379,296)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	დოლარი	ევრო	რუბლი	გირვანქა სტერლინგი	სულ
აქტივები	21,488	3,570	7,611	-	32,669
ფული და ფულის ექვივალენტები	38,957	70,194	-	-	109,151
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	-	-	-
სულ	60,445	73,764	7,611	-	141,820
ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	27,231,261	-	-	27,231,261
სავაჭრო ვალდებულებები	49,356	706	-	7,613	57,675
სულ	49,356	27,231,967	-	7,613	27,288,936
სავალუტო რისკის წმინდა ზემოქმედება	11,089	(27,158,203)	7,611	(7,613)	(27,147,116)

სავალუტო რისკის წმინდა გავლენა მოგება/ზარალზე და დაგროვილ ზარალზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	გავლენა მოგება/ზარალზე	გავლენა დაგროვილ ზარალზე
დოლარის გამყარება 20%	6,789	6,789
დოლარის გაუფასურება 20%	(6,789)	(6,789)
ევროს გამყარება 20%	(5,482,915)	(5,482,915)

ევროს გაუფასურება 20%	5,482,915	5,482,915
რუბლის გამყარება 20%	281	281
რუბლის გაუფასურება 20%	(281)	(281)
გირვანქა სტერლინგის გამყარება 20%	(14)	(14)
გირვანქა სტერლინგის გაუფასურება 20%	14	14

სავალუტო რისკის წმინდა გავლენა მოგება/ზარალზე და დაგროვილ ზარალზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	გავლენა მოგება/ზარალზე	გავლენა დაგროვილ ზარალზე
დოლარის გამყარება 20%	2,218	2,218
დოლარის გაუფასურება 20%	(2,218)	(2,218)
ევროს გამყარება 20%	(5,431,641)	(5,431,641)
ევროს გაუფასურება 20%	5,431,641	5,431,641
რუბლის გამყარება 20%	1,522	1,522
რუბლის გაუფასურება 20%	(1,522)	(1,522)
გირვანქა სტერლინგის გამყარება 20%	(1,523)	(1,523)
გირვანქა სტერლინგის გაუფასურება 20%	1,523	1,523

26. კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას არის მისი ფუნქციონირებადობის შესაძლებლობის დაცვა, რათა მან უზრუნველყოს აქციონერების ანაზღაურება და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალის ღირებულების შესამცირებლად.

ამჟამად კომპანია ფინანსური სირთულეების წინაშე დგას კაპიტალის მართვის მხრივ. გაკოტრების რისკის შესამცირებლად ჯგუფმა გაატარა დამცავი ზომები. ეს ზომები განხილულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე -2 შენიშვნაში.

27. სამართლიანი ღირებულება

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება ასახავს მათ სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც დაჯგუფებულია 1-3 დონეებად. აღნიშნული დონეები შემუშავებულია იმისთვის, რომ განისაზღვროს, რამდენად შეინიშნება სამართლიანი ღირებულება:

დონე 1: კოტირებული ფასები აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის, რომელზეც სუბიექტს შეუძლია წვდომა მოცემულ დღეს.

დონე 2: ფასები, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შედის 1 დონეში, რომლებიც არის განსაზღვრებადი აქტივის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ.

დონე 3: აქტივების ან ვალდებულებების განუსაზღვრელი მონაცემები.

	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
2024				
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	563,330	-	-	563,330
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	1,950,811	1,950,811
სულ	563,330	-	1,950,811	2,514,141
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	62,189,979	-	62,189,979
საიჯარო ვალდებულებები	-	1,204,830	-	1,204,830
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	8,401,129	8,401,129
სულ	-	63,394,809	8,401,129	71,795,938
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
2023				
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,416,401	-	-	1,416,401
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	184,661	184,661
სულ	1,416,401	-	184,661	1,601,062
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	59,317,979	-	59,317,979
საიჯარო ვალდებულებები	-	1,272,417	-	1,272,417
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	8,254,049	8,254,049
სულ	-	60,590,396	8,254,049	68,844,445

28. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

ჯგუფმა ხელახლა შეაფასა სასესხო ვალდებულებები და გაასწორა შეცდომები რეტროსპექტულად. წინა პერიოდებში ARNEG S.p.A-ს მიმართ არსებული სასესხო ვალდებულება კლასიფიცირებულ იქნა სავაჭრო და სხვა ვალდებულებად და დაკორექტირებულ იქნა სასესხო ვალდებულება ამორტიზირებული ღირებულების შესაბამისად, ასევე დაკავშირებული მხარისაგან მიღებული სესხისათვის დაკორექტირებულ იქნა სასესხო ვალდებულება ამორტიზირებული ღირებულების შესაბამისად.

ასევე კომპანია წინა პერიოდებში არასწორად ახდენდა შემოსავლებისა და ხარჯების კლასიფიცირებას, რაც გასწორდა შესადარისი პერიოდებით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ფინანსური ანგარიშგების დაკავშირებულ მუხლებზე კორექტირების ოდენობას.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

ქართულ ლარში	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (როგორც ადრე იყო წარდგენილი)	კორექტირებები	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,261,192	(850,183)	7,411,009
მიღებული სესხები	58,356,760	961,220	59,317,980
დაგროვილი მოგება	(64,816,136)	111,037	51,133,195

სს “სმარტ რითეილი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ქართულ ლარში	2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (როგორც ადრე იყო წარდგენილი)	კორექტირებები	2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,069,904	(850,183)	14,219,721
მიღებული სესხები	44,823,514	867,910	45,691,424
დაგროვილი მოგება	(60,001,872)	(17,727)	(60,019,599)

მოგება-ზარალის ანგარიშგება და სხვა სრული შემოსავალი:

ქართულ ლარში	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (როგორც ადრე იყო წარდგენილი)	კორექტირებები	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	53,363,545	(1,778,668)	51,584,877
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	34,619,588	(1,569,776)	33,049,812
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18,449,265	(15,608,975)	2,840,290
კომერციული ხარჯები	-	15,400,084	15,400,084

29. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის განმავლობაში დედა კომპანიამ გახსნა ორი ახალი მაღაზია.

საანგარიშო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა, რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც იქონიებდა გავლენას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

19 მაისი 2025 წ

წარმოგიდგენთ სს სმარტ რითეილის 2024 წლის ფინანსურ ანგარიშს.

საქმიანობის მიმოხილვა.....	1
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	2
კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	2
საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ	2
საკრედიტო რისკი	2
საბაზრო რისკი.....	2
სავალუტო რისკი.....	3
ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა	3
საოპერაციო რისკი.....	3
ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ	3
განვითარების გეგმები.....	4

საქმიანობის მიმოხილვა

სააქციო საზოგადოება „სმარტ რითეილი“ (შემდგომში „სმარტი“ ან „კომპანია“) თავისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას (რეგ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 08.02.2006-ში).

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა კაპიტალი შეადგენს 13,793,978 ლარს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელობაში იყო 2,500,000 აქცია ნომინალური ღირებულებით 5.52 ლარი. საზოგადოების 100%-იანი აქციონერი არის გლობალ ივესტორ ლიმიტედი (მალტა) (რეგისტრაციის#C38646) . საზოგადოების მმართველობითი ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, გენერალური დირექტორი.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისგან:

- სამსონ ფხაკაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
- ლევან ფხაკაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ვასილ ხორავა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

სს „სმარტ რითეილი“-ს საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- სურსათის, საკვების წარმოება, გადამუშავება, დისტრიბუცია, რეალიზაცია;
- საბითუმო და საცალო ვაჭრობა
- სხვა საქმიანობა რაც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სმარტი ფლობს შვილობილი საწარმოს შპს „სმარტ პროდაქშენი“-ს 100%-იან წილს და შპს „სმარტ რუსთაველის“ 20,96%-ს. შპს „სმარტ რუსთაველი“ და შპს „სმარტ პროდაქშენი“ ამჟამად არ ფუნქციონირებს. 2025 წელს იგეგმება შპს „სმარტ რუსთაველის“ ლიკვიდაცია.

2024 წლის ბოლოსთვის ბრენდის და მართვის ქვეშ ფუნქციონირებდა 43 სუპერმარკეტი. ყველა სუპერმარკეტი არის იჯარით აღებული, ძირითადად დაკავშირებული მხარეებისგან.

დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა:

მხოლოდ სს სმარტ რითეილი

2022 წელი - 598;

2023 წელი - 637;

2024 წელი - 716

კონსოლიდირებული

2022 წელი - 598;

2023 წელი - 637;

2024 წელი - 716

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

სმარტის საერთო მოგება (gross profit) 2024 წელს 2023 წელთან შედარებით გაიზარდა 18.5 მლნ ლარიდან 21.9 მლნ ლარამდე. 2024 წლის წმინდა ზარალმა შეადგინა 3.2 მლნ. ლარი. 2025 წლის 19 მაისის მდგომარეობით ფუნქციონირებს სმარტის 45 სუპერმარკეტი.

კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში არ ყოფილა მნიშვნელოვანი კვლევები.

საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება დებიტორულ დავალიანებაზე, რაც სმარტს გააჩნია კონტრაგენტებისადმი. ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანება მოცემულია მოთხოვნის გაუფასურების რეზერვის გათვალისწინებით. სმარტის მომხმარებლებს წარმოადგენენ საცალო და კორპორატიული მომხმარებლები, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული რეზერვი შედგება იმ თანხებისგან, რომელიც სრულად იქნა დარეზერვებული 1 წელზე მეტი ვადის მქონე მოთხოვნებზე. შესაძლებელია, გარკვეული ნაწილი 1 წელზე მეტი ვადიანობის მოთხოვნიდან იყოს გაუფასურებული ინდივიდუალურად, თუმცა, ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ თანხების ძირითადი ნაწილის მიღება მაინც ხდება 1 წლის გასვლის შემდეგ. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სმარტის მენეჯმენტი თვლის, რომ გარდა ანგარიშგებაში მოცემული გაუფასურების რეზერვისა, დამატებითი რეზერვის შექმნის აუცილებლობა არ არის. სხვა ინფორმაცია საკრედიტო რისკის მართვის შესახებ იხილეთ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი გამომდინარეობს კონკურენტული გარემოდან, რომელსაც ქმნიან სხვა ქსელური სუპერმარკეტები, არაბრენდული მაღაზიები და ა.შ. სმარტის სტრატეგია ეფუძნება სუპერმარკეტების ფუნქციონირებას ვისოლის (დაკავშირებული მხარე) ავტოგასამართ სადგურებზე. შესაბამისად, სმარტს აქვს გარკვეული ნიშა, რომელიც მოიცავს იმ მომხმარებლებს, რომელთათვის მისაღები და სასურველია ავტოგასამართ სადგურზე არსებული სუპერმარკეტის სტუმრობა. ზოგადად, კონკურენცია მიმდინარეობს საფასო სეგმენტში, შესაბამისად, სმარტში შექმნილია სამუშაო გუნდი, გენერალური დირექტორის, კომერციული, საოპერაციო, ფინანსური და ქსელის მართვის დირექტორების შემადგენლობით, რომელიც რეგულარულად იკრიბება და განიხილავს კონკურენტების

საფასო პოლიტიკას, პროდუქციის ასორტიმენტს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ სმარტი მომწოდებლების ნაწილთან ანგარიშსწორებას ახდენს უცხოურ ვალუტაში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში. სავალუტო რისკის მართვა ხდება მომწოდებლებთან ანგარიშსწორებისთვის საჭირო თანხების ნაწილზე ფორვარდული გარიგებების დადებით ადგილობრივ ბანკებთან. ასევე, გაცვლითი კურსის ცვლილება, პროდუქტის შესასყიდი ფასის გათვალისწინებით, აისახება საცალო სარეალიზაციო ფასებში იმპორტიულ პროდუქტებზე. სხვა ინფორმაცია სავალუტო რისკის მართვის შესახებ იხილეთ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა

სმარტის საბრუნავი კაპიტალი 2024 და 2023 წწ 31 დეკემბრის მდგომარეობით არის უარყოფითი. კომპანიის მენეჯმენტი მუშაობს აღნიშნული საკითხის გასაუმჯობესებლად, რომელიც ნაწილობრივ მოხდა 2023-2024 წლებში. უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი ამ ეტაპზე არ აფერხებს კომპანიის მიმდინარე საოპერაციო საქმიანობას.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით სმარტში ფუნქციონირებს მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახდენს სმარტის სუპერმარკეტებში და საწყობებში საქონლის, ნაღდი ფულის და სხვა მატერიალური ფასეულობების კონტროლს. საშუალო ვიზიტების რაოდენობა არის ორი-სამი ვიზიტი ერთ ობიექტზე თვის მანძილზე.

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ

გარდა ზემოჩამოთვლილი რისკებისა მთავარი რისკი რომელიც გავლენას ახდენს სმარტის ოპერაციებზე არის სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ სმარტის სესხების ნაწილი და იმპორტირებული შესყიდვის ნაწილი არის აშშ დოლარში და ევროში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში. სავალუტო რისკის მართვა ხდება სესხის მომსახურებისთვის და მომწოდებლებთან ანგარიშსწორებისთვის საჭირო თანხების ნაწილზე ფორვარდული გარიგებების (ბანკთან გაფორმებული კონტრაქტი მომავალში კონკრეტული ოდენობის ვალუტის შეძენაზე წინასწარ დაფიქსირებული გაცვლითი კურსით) დადებით ადგილობრივ ბანკებთან. ასევე, გაცვლითი კურსის ცვლილება, პროდუქტის შესასყიდი ფასის გათვალისწინებით, აისახება საცალო სარეალიზაციო ფასებში.

განვითარების გეგმები

სმარტმა 2025 წელს გახსნა 2 ახალი მაღაზია. კომპანია გეგმავს დამატებით 8 ახალი, მცირე ფორმატის მაღაზიის გახსნას 2025 წელს.

ვასილ ხორავა

გენერალური დირექტორი

სს სმარტ რითეილი

განვითარების გეგმები

სმარტმა 2025 წელს გახსნა 2 ახალი მაღაზია. კომპანია გეგმავს დამატებით 8 ახალი, მცირე ფორმატის მაღაზიის გახსნას 2025 წელს.

ვასილ ხორავა
გენერალური დირექტორი
სს სმარტ რითეილი

